

# „მიხეილ მესხი“

საერთაშორისო  
მიწვევებურთაში

მხარობით დაჰქინდით,  
რომ სათაური ერთობა  
პირობითია, თუმცა  
ყველაფერი, რაც კი აქაა  
მოდერნიზმი, სწორად  
რომ მიხეილ მესხს  
ენება — ქართული  
ფინანსურთაში  
განუხორციელდეს  
დიდოსტატს, ჩვენს ერთ-  
ერთ ყველაზე  
პოპულარულ და  
საყვარელ ფინანსურთაში,  
სწრაფ, ტექნიკურ,  
გონებაგამაჯობილ და  
მართლაც ორიგინალური  
ხელწერის გარემარბს,  
ფინანსურთაში მფრინავს და  
ტყავის ბურთის ჭაფურბი  
ჯადოქარს. 17 წლისა  
გამოჩნდა დიდ  
ფინანსურთაში და  
იმთავითვე, მკრთლაც  
პირველივე მატჩიდან,  
მიიპყრო ტრიუმფებისა  
და სპეციალისტთა  
უხრადღება: „ეს ბიჭი  
უმორს წავა!“ წავიდა  
კიდევ!



ყველაფერი ასე დაიწყო. მიხეილ მესხი (მარცხნიდან პირველი) თანატოლ  
ზიგებთან გატაცებით ეუფლებოდა ფინანსურთაში ხელოვნებას. სურათზე  
ზევით კი თქვენ უკვე მ. მესხს — ფინანსურთაში დიდოსტატს ხედავთ.

სახ. აბა. რესპუბ.  
პროკლამაციები

პროკლამაციები ყველა ქვეყნისა, შიგნით!

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო  
კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ  
КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

30 ნოემბერი, ხუთშაბათი, 1989 წ.  
№ 229 (10 148) ● ფასი 8 კაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

მიხეილ მესხი თბილისის „დინამოს“ მთავარი შემტევი ძალა გა-  
ხდა, ქვეყნის ნაკრებშიც მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი (გახსოვთ,  
სახელგანთქმული ესპანელი მწვრთნელის ელენიო ერერას სიტყ-  
ვები მესხისა და მტკიცელების მიხედვით — „შესანიშნავი ქა-  
რთული ფრთები!“) და, როგორც წესი, სულ პირველ სტრიქონს  
იკავებდა თავის პოსტზე „მშ საუკეთესოს“ ტრადიციულ ხაზში.  
განა მიხეილ მესხი არ იყო, მოთმინება რომ დაუკარგა ტორპედოელ  
ალექსანდრ მელაქინს, მოსკოვის დინამოელ ვლადიმერ კესარევს, სპარ-  
ტაკელ გენაი ლოგოფტს, არმიელ ელუარდ ლუბინსკის, კიეველ ვლად-  
იმერ შჩეგოლკოვს... ურუგვაელ პერეირას, მიხეილ მესხი არ იყო, თა-  
ვისი მეურვენი რომ „გამწვარა“ ევროპის თანხს პირველ გათამაშებასა და  
ჩილის მსოფლიოს ჩემპიონატზე, მიხეილ მესხი არ იყო განცვიფრებაში  
რომ მოიყვანა მრავლისმნახველი სამხრეთამერიკელი გულშემატკივრები  
და ურუნალები? გახსოვთ გულშემატკივრები თამაშზე მესხისთვის და-  
დიდუნენ, ისევე, როგორც ადრე პაიჭაძისთვის.

კარგა ხანია უფროსმა მესხმა ლურსმანზე ჩამოვიდა თავისი „ბურთებ-  
მტრქვევ“ ბუცები, სახელი მისი კი დღესაც შემოსილია დიდებითა და პა-  
ტივით, ამასთან, როგორც ჩვენი, ისე უცხოეთის სტადიონებზე. ამიტომ  
იყო: როდესაც გადაწყდა თბილისში დიდი საერთაშორისო ტურნირის ჩა-  
ტარება მინიფინანსურთაში, ყველამ ერთხმად აღიარა, რომ გათამაშება სპო-  
რტის დამსახურებული ოსტატის, ქვეყნის 1984 წლის ჩემპიონის მიხეილ  
მესხის სახელს უნდა ატარებდეს — ქართველი ფინანსურთაში, რომე-  
ლსაც მთელს მსოფლიოში იცნობენ.



ნ. მ. 2-3 83.

## რომან დრო საბავარ და არც გაინდობა...

მას, ვინც გათამაშების ცხრილის  
შუაგულშია და ყოველწლიურად ცდი-  
ლობს დაწინაურებულ ჯგუფთან  
მიახლოებას, აიღოს ცხოვრება არა  
აქვს. მით უფრო, თუ შეკრებების  
დამთავრებამდე არც ისე დიდი მანძი-  
ლია და ვერც იმას იტყვი, სპორტ-  
სმენი დროს უგმარისობას განი-  
ცდისო. დრო არის, მაგრამ არც  
არის, გააჩნია როგორ წიუვა საქმე  
მოკლადრაც. დაახლოებით ასეთ  
მდგომარეობაშია ამჟამად ქვეყნის  
კახიანი, რომელიც სსრ კავშირის  
მოკლადრაც ქალთა 49-ე ჩემპიონა-  
ტში გამოიჩინა. შეკრებების დაწყე-  
ბიდან 10 ტურია გასული და თბი-  
ლისელი საერთაშორისო ოსტატი  
5,5 ქულით VIII-IX ადგილებს  
იყოფს პიატიგორსკელ საერთაშო-  
რისო დიდოსტატ ვლადიმერ კო-  
ლოვსკაისთან. სხვათა შორის, ამ  
ორ მოკლადრაცებს შორის პრინცი-  
პული დავა გუშინ უნდა გამართულ-  
იყო. სამწუხაროდ, ტურები გვი-  
ანდ დამთავრდება, იმ დროს, ჩვენნი  
გაზეთი უკვე დასაბეჭდად რომაა  
ხელმოწერილი. დღის შედეგებს  
მხოლოდ გვიან დამით ვიგებთ,  
როცა კახიანსა თუ მის მწვრთნელს  
გიორგი მაჭარაშვილს ტელეფონით  
გუჯავშირდებით სასტუმროში.  
სწორედ ამიტომაც არ ვიცით, ჩვე-  
ნთვის ამ უაღრესად პრინციპული  
პარტის შედეგი. XII და XIV  
ტურებშიც ეტლად სერიოზული მე-  
ტოქეები ეყოლება ჩემპიონატის  
ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენ-  
ლების იულია დომინანსა და ზოია  
ლეონიუკოვასთან სახით. მაგრამ,  
ვინც ჩვენს პუბლიკაციებს რეგულ-  
არულად ადევნებს თვალს, კარ-  
გად უწყის, რომ კახიანს უკან და-

სახევი გზა აღარ აქვს. ის, რაც  
ჩემპიონატის სტარტზე დაკარგა,  
აუცილებლად უნდა აინახაუროს  
ფინიშიზე. ეს არის მისი, გენეზით  
პროგრამა მინიმუმ, გენეზით, პრო-  
გრამა მაქსიმუმ. ნიჭიერმა მოკლ-  
ადრაცემ მისთვის შესაფერისი შე-  
დეგი უნდა აჩვენოს. გვეყრთ, კა-  
ხიანი არ გაუწულებს იმედებს  
მის გულშემატკივრებს.

რაც შეეხება მეათე ტურს, კახი-  
ანი შავი ფეხურებით ხვდებოდა  
მოსკოველ ოსტატს ელენა ხარკო-  
ვას. გათამაშდა ლაზიერის გამბე-  
ტი. თბილისელმა მოკლადრაცემ ი-  
ლად გაათანაბრა პოზიცია და თან-  
დათანობით ინიციატივასაც დაეუფლა.  
სრულად უმეღო პოზიციაში ხა-  
რკოვამ საათი გააჩერა.

კვლავ თითო ქულა ჩაიწერეს აქ-  
ტივში გათამაშების ლიდერებმა აი-  
ნურ სოფიევამ (დაამარცხა ნინა  
სიტნიკოვა) და ზოია ლეონიუკო-  
ვამ (შავებით რენატა დომ-  
კუტეს სძლია). დომინანსამ ირინა  
ჩიოლუშკინას მოუგო და დაიწვია  
მას.

X ტურის სხვა შეხვედრები ასე  
დამთავრდა: ნეპეინა — მაფრან-  
სკა 0,5:0,5, ველიხანო — უსკო-  
ვა 0,5:0,5, უმანსკაია — სახატო-  
ვა 0,5:0,5, კოვლოვსკაია — შერე-  
მეტოვა 1:0, ვადალი პრუდნი-  
კოვა — სემიონოვას პარტია.

გადადებული შეხვედრების დამ-  
თავრებისას დაზავდნენ სემიონოვა  
— ველიხანო (VII ტური) და  
შაფრანსკა — სახატოვა (VIII  
ტური). უმანსკაია დამარცხდა სე-  
მიონოვასთან ორთაბრძოლაში  
(VIII ტური).

აი, რა მდგომარეობაა სატურ-  
ნირი ცხრილში XI ტურის წინ:  
სოფიევა — 7,5 ქულა, ლეონიუკო-  
ვამოვა — 7, დომინანს — ჩიოლუ-  
შკინა — 6,5-6,5, სიტნიკოვა, გუ-  
ლნარა სახატოვა — 6-6, ლილია  
სემიონოვა — 5,5 (1), კახიანი, კო-  
ლოვსკაია — 5,5:5,5, სვეტლანა  
პრუდნიკოვა — 4,5 (1), ფირუზა  
ველიხანო, მარინა შერემეტოვა —  
4,5:4,5, მარია ნეპეინა — 4, ფლო-  
რა — უსკოვა, დომკუტე, ხარკოვა —  
3,5-3,5, ანდა შაფრანსკა — 3,  
ირინა უმანსკაია — 2.

„ლელოს“ კორ.

## ამხანაგურ შეხვედრებზე — ისრაელში

ამხანაგური საერთაშორისო შე-  
ხვედრების ჩასატარებლად ისრაელს  
გაემგზავრა თბილისის „დინამოს“  
ფინანსურთაში გუნდი. დელეგაციას  
ხელმძღვანელობს სპორტსაზოგადოფ-  
ბა „დინამოს“ საქართველოს რეს-

პუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის  
პირველი მოადგილე ჯ. მიქელაძე.  
დინამოელი ფინანსურთაში ის-  
რაელში 3 ამხანაგურ მატჩს გამარ-  
თავენ.

## მორიგ სდროაზე

გუშინ, საქართველოს სახალხო  
განათლების სამინისტროში გაიმარ-  
თა მოსწავლეთა საკავშირო სპარ-  
ტაკიადისათვის სამზადისის ოპერა-  
ტიული შტაბის სხდომა, რომელ-  
მაც განიხილა ამ კომპლექსური შე-

ჯიბრებისთვის ტანვარჯიშში, აკადე-  
მიურ ნიჩბოსნობაში, საბაიარო ნი-  
ჩბოსნობასა და კანოეში ნაკრები  
გუნდების მზადების საკითხები. და-  
ისახა ნაკლოვანებების დაძლევის  
ღონისძიებები.

## უფუ ქართულად!

განხანგა აბაშიძე, „მოლოდიფი-  
კურთის“ დამფუძნებელი, ქვეშა-  
რიტად ქართული, თუმცა კი რუ-  
სულენოვანი გაზეთის რედაქტორი,  
აირჩიეს უშუს საქართველოს ფე-  
დერაციის პირველ თავმჯდომარედ,  
ყველამ, ან თითქმის ყველამ, ვინც  
ამ სპორტით არის გატაცებული, გა-  
დაწყვიტა ბოლოს და ბოლოს შეე-  
ქმნათ თავიანთი ერთიანი ორგანი-  
ზაცია — საქართველოს ფედერა-  
ცია და, თუმცა უშუ აღმოსავლუ-  
რი საბრძოლო ხელოვნება, კონფე-  
რენციამ სიოცრად მშვიდად ჩაიარა.  
უთუღ მისასაღებელია ის მზად-

სილა დაგვჩვენია, ფედერაციას

პაპი ბოლომდე

# „მინსკი მესხი-89“

(დასასრული)

სპინდელს, მაგრამ „პაუზებში“ მაინც ახერხებს ჩვენთან საუბარს. თავდაობრივად იქვე მოთავსებულ უზარმაზარ პრიზებზე მივითითებ:

— გინახავთ მსგავსი? — ალბათ, მარტო მსოფლიოს ჩემპიონატსა და ოლიმპიურ თამაშებზე! თითქმის ნახევარმეტრიანი თასები — ძვირფასი ლითონებისაგან, ბროლისგან, საკმაოდ დიდი ხელოვნებითა და გემოვნებით დამზადებული, თავიანთ მომავალ მფლობელებს ელიან. სამიოდე დღეც და... ყოველ პრიზს, ისევე როგორც მთელ ნაბეჭდ პრინციპს, რომელიც ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკამ (დირექტორი რამაზ ცხადაძე) დაამზადა, მიხეილ მესხის ფიგურა ამშვენებს. აბა კიდევ ვის შეეძლო ასეთი ფინტის გაკეთება — სახელოვანმა ფეხბურთელმა ეს-ესა უკან მოიტოვა მეურვე და ახლა კარში ბურთის დასარტყმელად თუ ჩაწოდებისათვის ემზადება...

— ვფიქრობ, რომ ჩვენი ტურნირის მართლაც მოხდენილი ემბლემა ამშვენებს — კამათივით გვეუბნება კ. ასათიანი.

პირველი პრიზი, ე. წ. „ოქროს თასი“ ტურნირში გამარჯვებულს გადაეცემა, ვერცხლის პრიზი — მეორე ადგილის მფლობელს, ხოლო ბრინჯაოს ჩილოებს მიიღებენ მესამე და მეოთხე ადგილებზე გასული გუნდები. აქვეა მეტად ორიგინალური, ლითონისა და ბროლისაგან დამზადებული, აგრეთვე შედარებით მთავრადი ზომის პრიზი, რომელიც ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელისთვისაა განკუთვნილი. ასეთივე მოხდენილი პრიზები ელით საუკეთესო უცხოელ ფეხბურთელს, ტურნირის საუკეთესო შეკარეს, მთავარ ბომბარდირს, ყველაზე ტექნიკურ მოთამაშეს, ყველაზე სახრიანს, ყველაზე ასაკობრივ ფეხბურთელს... იქვე უზარმაზარი სისტემის შევამხიეთ გრძელ ოქროსფერ ჭაჭაზე (სხვა სიტყვა ვერ მოვიპოვეთ — აბა მეწვე მასთან როგორ მოვიადო) რომ ეცადა — ცხადია, იგი ტურნირის საუკეთესო მსაჯისთვისაა განკუთვნილი. როგორც ბატონმა კანომ „საიდუმლოდ“ გვითხრა, ამ პრიზს ნომინალურ მფლობელს ჩვენი უხუცესი მსაჯი ნესტორ ჩხატარაშვილი გადასცემს. ვის? ამაზე პასუხს აგრეთვე სამ დეკემბერს მივიღებთ სპორტის სასახლის თაღებზე. ვიტყვით მხოლოდ, რომ შეჯიბრების მსაჯთა კორპუსს უხელმძღვანელებს ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი გიორგი ბაქანიძე. და კიდევ ერთი საკითხი მსაჯთა „თემაზე“ — თბილისის საერთაშორისო ტურნირის ბოლო დღეს გაიმართება მეტად საინტერესო მატჩი, რომელსაც უმსაჯვეს ცნობილი რიგული არბიტრი მიკეის რუბენისი. ისევე, როგორც 25 წლის წინათ ტაშკენტში, იგი ამჯერადაც უხმობს სასპორტო თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ 1964 წლის შემადგენლობებს. ექვთარეშა, რომ ეს შეხვედრა, რომელზედაც კარგა ხანია ოცნებობენ გულშემატკივრები, განსაკუთრებით უფროსი თ-



საერთაშორისო ტურნირის მთავარი პრიზი მიხეილ მესხის ბრინჯაოს ფიგურით.

ობისა, ბევრ სიამოვნებას მოგვცის ფეხბურთის თავყვანისმცემლებს. ისევე, როგორც ტაშკენტის „ოქროს მატჩში“ გუნდებს მოედანზე გამოიყვანენ სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გავრილ კაბალონი და სპორტის ოსტატი ალექსანდრე კოტრაიძე, ხოლო ტორპედოელებს უხელმძღვანელებს წარსულში ცნობილი ცენტრალური მცველი, მოსკოველი გუნდის ყოფილი უფროსი ვიქტორ მარინეო (გახსოვთ, ალბათ, ტაშკენტში „ტორპედოს“ უფროსი მწვრთნელი იყო სპორტის ოსტატი იური ზოლოტოვი). ვის ვინილავთ „ვერცხლის იუბილეზე“? ჩვერჯობით ამ მატჩისთვის ემზადებიან 1964 წლის ჩემპიონები სერგო კოტრაიძე, ბორის სიჭინავა, ჯემალ ზეინკლიშვილი, გურამ ცხოვრებოვი, გიორგი სიჭინავა, გურამ პეტრიაშვილი, ილია დათუნაშვილი, ვლადიმერ ბარჭაია, ალექსანდრე აფშევი, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი. ტორპედოელთა ღირსებას დაიცვენ „ტაშკენტელი“ ვიქტორ შუსტიკოვი, აგრეთვე ედუარდ სტრეგოვი, ბორის ბატანოვი, გენადი გუსაროვი, ვლადიმერ მედაინი, და-

ვით პაისი და სხვ. მოსკოველთა გუნდში შესაძლოა გამოვიდეს „ტორპედოს“ მაშინდელი კაპიტანი, გუნდის ლეგენდული მთავარი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვალენტინ ივანოვი, ცხადია, თუ იგი ტორპედოელებთან ერთად არ გაემგზავრა ტურნებში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სასახლის სარბიელზე ვინილავთ სხვა დინამოელ ვეტერანებსაც. — რამაზ ურუშაძეს, დავით გოგიას, თამაზ კოსტავას, ალექსანდრე ჩივაძეს, ნოდარ ბიზანიშვილს, დავით მუჯირს, გოჩა მაჩაიძეს, ვახტანგ კოპალეიშვილს, მანუჩარ მაჩაიძეს, ვახტანგ ქორაიძეს, თენგიზ სულაქველიძეს, რამაზ შენგელიას, რევაზ ჩელუბაძეს, ლევან ნოღისას. ესაა საქართველოს ვეტერანთა, ასევე ვეტკეთ, რეგულარული ნაჭრები, რომელსაც ავარჯიშებს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გივი ნოღისა.

ტურნირში მთავარი პრიზისათვის ბრძოლაში მონაწილეობას მიიღებს 8 გუნდი: ზაარბრიუკენის ნაჭრები, ერვენის „არარატი“, გდრ-ის ნაჭრები და მოსკოვის „დინამო“ (პირველი ჯგუფი), დასავლეთ ბერლინის ნაჭრები, სსრ კავშირის ნაჭრები, თურქეთის ნაჭრები და თბილისის „დინამო“ (მეორე ჯგუფი).

ალბათ, საინტერესოა ისიც, თუ ვინ დაიკავებს სსრ კავშირის ვეტერანთა ნაჭრების ღირსებას, რომელსაც სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი კონსტანტინ ბესკოვი უღვას სათავეში? ესენია ვიქტორ პაპაევი, ვალენტინ აფონინი, ვლადიმერ სახაროვი, ალექსანდრ ტარხანოვი, ვიქტორ კოლოტოვი, ვლადიმერ ისტომინი, ემგენი რუდაკოვი და სხვ.

ჩვენ უკვე ვახსენეთ 10 გუნდი. მაგრამ საქმე ისაა, რომ სპორტის სასახლის სარბიელზე ფეხბურთის ამ დღი ზეიმის დღეებში კიდევ 4 გუნდს ვინილავთ. ესაა სპორტის დამსახურებული ოსტატი მიხეილ მესხის „აუზა“ და „ნორის დინამო“ (1976-1978 წლებში დაბადებული). სწორედ „აუზაში“ გამოდის კიდევ ერთი მესხი — მიხეილ მესხის უმცროსი ვაჟი 13 წლის ვამუკა. სასახლის თაღებზე დიდ სპორტულ ზეიმს კიდევ უფრო მეტ ელფერს მიანიჭებს „დაუძინებელი საფეხბურთო მტრების“ — რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების გუნდების გაერთიანებული ნაჭრების (სხვა თეატრების საუკეთესო ფეხბურთელების დამატებით) მატჩი თბილისელ გულშემატკივართა გუნდთან. პირველ მთავანს კოტე მახარაძე უღვას სათავეში, მეორეს — ქართლოს სვანიძე.

სხვათა შორის, სწორედ კოტე მახარაძე და ცნობილი მხატვარი ოთარ ლითანიშვილი ხელმძღვანელობენ მთელს ამ სამდიან საფეხბურთო წარმოდგენას — ამ მრავალტანიან გიგანტურ „მატჩს“.

ვფიქრობთ, გულშემატკივრები იქვე სპორტის სასახლეში სიამოვნებით შეიძინენ მიხეილ მესხის ტურნირისათვის სპეციალურად დამზადებულ სამკერდე ნიშნებს (ლითონისა და მინანქრის), მედალიონებს, ბრე-



შეჯიბრების პროგრამა — ბუკლე ტის ერთ-ერთი გვერი (მარჯვნივ) და მასში მოთავსებული „ფოტოსტენდი“ (ზევით).


ლოკებს, ვიბელებს (ორი სახის), პროგრამა-ბუკლეტებს. მოზრდილი ზომის ტაბელ-კალენდრებს, ხელჩანთებს...

მატჩის ყველა ხარჯები გაიღო სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკურმა საბჭომ, რომელსაც დიდი დამხმარება გაუწიეს სპონსორებმა. მსურველი კი ამ მატჩისთვის 30-მდე აღმოჩნდა. სხვათა შორის, სპონსორების პირადი რეკლამა ტურნირის დღეებში დაამშვენებს სპორტის სასახლის სარბიელს. აქვე, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს საქართველოს სამხატვრო ფონდის საწარმოო კომპანია კოპიერატივი „ოპიზარი“ (თავმჯდომარე ვაჟა გავლიძე), რომელმაც ამ ტურნირისათვის უსასყიდლოდ დაამზადა მთელი რიგი გემოვნებით შესრულებული ჩილოები და სუვენირები.

მიხეილ მესხის პრიზის გათამაშება ტრადიციულ ტურნირად იქცევა — გვიხარია დასასრულს კახი ასათიანმა — სწორედ ამისთვის შევიძინეთ საგანგებოდ ცნობილი დასავლეთგერმანული ფირმის „პოლიგრასის“ საფეხბურთო ხალიჩა-მდალისტატურად დამზადებული ხელოვნური საფარი, რომელიც ასე მოგვაგონებს მწვანედ მოზინებულ ბალახს... გული გმწყვდება მხოლოდ იმაზე, რომ ტურნირზე ვერ ჩამოვლენ ისარაველი და იტალიელი ფეხბურთელები. პირველებმა ვერ მოასწრეს გამოსამგზავრებელი საბუთების გაფორმება, აი მეორენი კი იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ თბილისში სტუმრობაზე, ვინაიდან „აეროფლოტის“ ხელმძღვანელობამ და-

სამოქალაქო ავიაციის სამინისტრომ მოიმიზნეს თვითმფრინავებზე ბილეთების გაყიდვის ახალი წესები და... ფაქტობრივად უარი უთხრას იტალიელებს აქ ჩამოსვლაზე. მინდა მტკიცე რწმენა გამოვთქვა, რომ გაისად, რაგონი მეორე ტურნირზე, ისინი წინასწარვე დაიპყრენ თაღრიგს, ორივე გუნდი მოახრებებს თბილისში ჩამოსვლას და მათ სხვა ქვეყნის ფეხბურთელებიც დაემატებინან, პირველ ყოვლისა, ბასკები — ბალბაოსა და სან-სებასტიანის საუკეთესო მოთამაშეები. მათი მოწვევა, სხვათა შორის, ამ ტურნირზეც ვცადეთ. სამწუხაროდ, უშედეგოდ, ობიექტური მიზეზის გამო. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი ერთი დღის დაგვიანებით ჩაერთო ტურნირში.

დასასრულს გულშემატკივართა საყურადღებოდ დავუმატებთ, რომ შეჯიბრების საზეიმო გახსნა გაიმართება პარასკევს, 1 დეკემბერს 18 საათსა და 30 წუთზე. პირველ დღეს 5 მატჩი შედგება (თამაშები ორ-ორი




15-წუთოვანი ტიმი-საგან შედგება, 2 და 3 დეკემბერს შეხვედრები (7-7 მატჩი) საათზე დაიწყება. ბილეთებს უნდა გადაიღებოთ სამდღიანი აბონიშნები, რომელთაგან რვა ილბოთს მფლობელი ავტომატურად მიიღებს.



სურათებზე: მარცხნივ — ლითონისა და ბროლისაგან დამზადებული ეს ორიგინალური თასი საუკეთესო მოთამაშისთვისაა განკუთვნილი; ტურნირის საუკეთესო მსაჯის სპეციალური პრიზი — ხანტენი, ვივანტი.



ალექსანდრე კოტრაიშვილის ფოტოები.



შეჯიბრების სამხსოვრო სამკერდე ნიშანი, მედალიონი და ბრელოკი.

Large advertisement for the tournament with text: 'საერთაშორისო მიხეილ მესხის პრიზი' (International Mikhail Meskhi Prize), 'MEKHAHAPAHH TYPHHP', 'INTERNATIONAL TOURNAMENT MIKHAEL MESKHI GRAND PRIX', and '89'.

ტურნირის ალიზა.

# ნაწიბი, უპირველეს ყოვლისა, წესრიგი!

**საპარტიზო საფეხურით** პირველობის მატჩებში ახლაც, ხელოვნების მიწურულს კვლავ და კვლავ ხდება მიუტანებელი უწესრიგობანი, დისციპლინის არღვევენ ფეხბურთელები, მწვრთნელები, ადგილობრივი სპორტული მუშაკები, გულშემატკივრები, ხშირია შეცდომები მსახურის მხრივაც.

ამ უდისციპლინობათა თაობაზე არაერთხელ გვქონია ლაპარაკი, სისტემატურად ვაქვეყნებდით საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური

კომისიის დადგენილებებს, უდისციპლინობა მიმართ მკაცრ ზომებს მიმართავდნენ, მაგრამ ყველა ამ ღონისძიებამ სასურველი შედეგი არ გამოიღო, წესრიგის დარღვევა, უხეშობა, უდისციპლინობა კვლავ გრძელდება. ამიტომაც ვაქვეყნებთ საქართველოს საფეხბურთო პირველობაზე მომხდარ დარღვევათა თავისებურ რეესტრს, რომელშიც აღნიშნულია ბოლო დრომდე მომხდარი ინციდენტები.

რა თქმა უნდა, მარტოოდენ მკაცრი სანქციებით და ადმინისტრაციული ღონისძიებებით ჩვენს ფე-

ხბურთში სასურველ წესრიგს ვერ მივაღწევთ, ცხადია, რომ უშუალოდ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მონაწილე კოლექტივებში არ მიმდინარეობს სათანადო აღზრდელი ბილი და ახსნა-განმარტებითი მუშაობა, ფეხბურთელები და, ზოგ შემთხვევაში, მწვრთნელებიც, ადგილობრივი სპორტული მესვეურები, ფეხბურთის ფედერაციები რიგინად არ იცნობენ გათამაშების დებულებას, უდისციპლინობის აღსკვეთად კი საჭიროა სათანადო ზო-

მების მხრივ იმთავითვე, მარტოოდენ ლორწავს შემთხვევაში. ეს რომ ასე ყოფილიყო, ჩვენს გუნდებს არ ექნებოდათ 10, 15 და 18 გაფრთხილება!

წესრიგის დაცვა საქართველოს საფეხბურთო პირველობის მონაწილე გუნდებშიც და ფეხბურთელთა შორისაც ჩვენი უპირველესი მოვალეობაა, ყველას კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ მაღალი, შეგნებული დისციპლინა, ნორმალური წესრიგი ნამდვილი სპორტული დაოსტატების უპირველესი გარანტიაა.

## უდისციპლინო...

**რეპუბლიკური** გათამაშების ოფიციალურ შეხვედრებში ჩადენილი უწესრიგობისთვის დაისჯნენ 1 ჯგუფის მონაწილე გუნდების ფეხბურთელები:

**„შაბრანნი“ (წყალტუბო).** მინდვირიდან გააძევეს ლ. იობიძე, გაფრთხილება მიიღო 10 ფეხბურთელმა.

**„სპური“ (წალენჯიხა).** მინდვირიდან გააძევეს დ. ხოჭოლაძე და ს. მამედოვი, 18 ფეხბურთელმა დაიშახურა ყვითელი ბარათი.

**„სალონი“ (ვანი).** 6 მოთამაშეს მიღებული აქვს გაფრთხილება. 5 თამაშით დისკვალიფიცირებულია გ. შარაშენიძე.

**„ამირანი“ (ოჩამჩირე).** მინდვირიდან გააძევეს ზ. ლურჯაია და დ. ბიბისტარაშვილი, 7 ფეხბურთელი გააფრთხილეს.

**„დინამო“ (ზუგდიდი).** მინდვირიდან გააძევეს ლ. თორდია და რ. მაქაძია, 8 ფეხბურთელმა დაიშახურა ყვითელი ბარათი.

**„იშქრია“ (ხაშური).** გააფრთხილეს გუნდის 5 მოთამაშე.

**„მადნაული“ (ბოლნისი).** 4 ფეხბურთელი მინდვირიდან იქნა გაძევილი (გ. ავქოფაშვილი, ვ. სამხარაძე, რ. ხეირიანი, ვ. ქობულაძე), 9 ფეხბურთელი გააფრთხილეს.

**„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ).** გუნდის ოთხმა ფეხბურთელმა ყვითელი ბარათი მიიღო.

**ფიკალტარის ინსტიტუტი (თბილისი).** მინდვირიდან გააძევეს დ. ძაგანია და რ. ტოგონიძე, ხოლო 15 ფეხბურთელი გააფრთხილეს.

**„მეტალურგი“ (ნეხტაფონი).** გააფრთხილეს გუნდის 9 ფეხბურთელი.

**„საბავშვო“ (თერჯოლა).** გააფრთხილეს 6 ფეხბურთელი.

**„ბრმაგი“ (მცხეთა).** მინდვირიდან გააძევეს ქ. სონულაშვილი, გააფრთხილეს 8 ფეხბურთელი.

**„დინამო“ (გაგრა).** ყვითელი ბარათები დაიშახურა გუნდის 8 ფეხბურთელმა.



**„დურაჯი“ (ყვარელი).** გააფრთხილეს 9 ფეხბურთელი.

**„ბახტრიონი“ (ახმეტა).** მინდვირიდან გააძევეს 5 ფეხბურთელი (გ. ტერტრაშვილი — ორჯერ, ა. ხუგაშვილი, ე. გაგრაშვილი, ბ. ბეწუქელი), გააფრთხილეს 8 მოთამაშე.

**„მალაროლი“ (კიათურა).** მინდვირიდან გააძევეს ა. ასათიანი, 5 ფეხბურთელს მიეცა გაფრთხილება.

**„ბრმაგი“ (დუშეთი).** მინდვირიდან გააძევეს გ. ციმაკურიძე, 9 ფეხბურთელი გააფრთხილეს.

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი).** მინდვირიდან გააძევეს ე. ბერიშვილი, გააფრთხილეს 9 ფეხბურთელი.

**„სპარტაკი“ (ცხინვალი).** მინდვირიდან გააძევეს მ. სანაკოვი, იმ. ჯიორჯი და ივ. ჯიორჯი, 15 ფეხბურთელი გააფრთხილეს.

**ბალის „მწიწრი“ ერთადერთი გუნდია, სადაც წლებადღეს ხელოვნური გრძელდება წესრიგი არ დარღვევია.**

მინდვირიდან გაძევილულ და გაფრთხილებულ ფეხბურთელებს გამოუტანეს მკაცრი სასჯელები, ზოგიერთ მათგანს თამაში აკრძალა წლის ბოლომდე, ხოლო სხვებს — სხვადასხვა ვადით.

## გათამაშებიდან მოიხსნა

**საპარტიზო** პირველობის კალენდარულ მატჩებზე ორჯერ გამოუცხადებლობის გამო გათამაშებიდან მოიხსნენ დმანისის „განთიადი“ და ცხინვალის რაიონის „ლიახვი“.

დისციპლინის დარღვევისთვის გათამაშებიდან მოიხსნა, აგრეთვე, ოზურგეთის რაიონის „დვამზუ“.

## დისკვალიფიკაცია...

**ახმეტის** სტადიონზე ადგილობრივი „ბახტრიონის“ ერთ-ერთ მატჩში მოხდა დარღვევები, რის გამოც სტადიონის პირობითი დისკვალიფიკაცია მიეცა 2 თამაშით. ამის შემდეგ წესრიგის დარღვევა აქველავ გამოერდა, ამიტომაც ოფიციალური კალენდარული მატჩების ჩატარება ახმეტის სტადიონზე აკრძალა 1989 წლის ბოლომდე.

დისციპლინის დარღვევა მოხდა წალკის სტადიონზე, რის გამოც ამ სპორტულ ბაზას 2 თამაშით მიეცა დისკვალიფიკაცია.

3 კალენდარული მატჩით დისკვალიფიკირებულია წალენჯიხის „სქურის“ სტადიონი.

ოზურგეთის რაიონის სოფელ დვამზუს ფეხბურთელებმა რესპუბლიკური შეჯიბრების ერთ-ერთი მატჩი ჩატარეს რაიონული ცენტრის სტადიონზე, სადაც ხულიგანური საქციელი ჩაიდინეს, იციდენტში ჩაება გულშემატკივართა მობრდილი ჯგუფიც.

ოზურგეთის რაიონის „დვამზუ“ გათამაშებიდან მოიხსნა, ოფიციალურ საფეხბურთო მატჩებში მონაწილეობა აკრძალა „დვამზუს“ ფეხბურთელებს რ. კანტურიშვილსა და ბ. ლლონტს, ერთი წლით დისკვალიფიკაცია მიეცათ გ. თახაძეს, ხ. ქუტიძეს, დ. გურგენიძეს, თ. ლლონტს, გ. ლლონტს.

## დაისჯნენ მსახურის

**1989 წლის საფეხბურთო ხელოვნობის სხვადასხვა დარღვევებისთვის, არადაამაკმაყოფილებელი მსახურისთვის დაისჯნენ შემდეგი მსახურის:**

1. რ. ვერულაშვილი, თბილისი. დისკვალიფიცირებულია 1989 წლის სეზონის ბოლომდე.
2. გ. მიქაუტაძე, ქუთაისი. დისკვალიფიცირებულია 2 თვით.
3. ი. დოლოძაძე, თერჯოლა. დისკვალიფიცირებულია 2 თვით.
4. კ. წულუაძე, ფთი. დისკვალიფიცირებულია 3 თვით.
5. ი. დავიდანო, ბათუმი. დისკვალიფიცირებულია 1989 წლის ბოლომდე.
6. შავიშვილი, ბათუმი. დისკვალიფიცირებულია 1989 წლის ბოლომდე.
7. რ. ფარცვანია, ზუგდიდი. დისკვალიფიცირებულია 1989 წლის ბოლომდე.
8. რ. წულაია, ზუგდიდი. დისკვალიფიცირებულია 1989 წლის ბოლომდე.
9. თ. კურტანიძე, თბილისი. დისკვალიფიცირებულია 1989 წლის ბოლომდე.
10. ვ. კლიშინკო, თბილისი. გამოეცხადა საყვედური.
11. ს. პრავოვი, გაგრა. გამოეცხადა საყვედური.
12. ზ. ჯინჯარაძე, ოზურგეთი. გამოეცხადა საყვედური.
13. ვ. შელია, ქუთაისი. გამოეცხადა ასტიკი საყვედური.

**სსრ პაპშინის** საფეხბურთო ჩემპიონატების ისტორიაში, მოყოლებული 1936 წლის შემოდგომიდან, მოსკოვში „სპარტაკთან“ ანგარიშით 1:0 მოგებული მატჩი თბილისის დინამოელთათვის 150-ე იყო. თბილისში მოგებული მატჩებით დონეცკის „შახტორთან“ — 2:1 და დნეპროპეტროვსკის „დნეპროთან“ — 2:0, დინამოელებმა 100-100-ჯერ იზიემეს წარმატება ამ ანგარიშებით საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში.

## სტატისტიკა, სტატისტიკა...

**ბანკლი,** 52-ე ჩემპიონატში თბილისის დინამოელთაგან ბურთების გატანა შესძლო 11 ფეხბურთელმა. ყველაზე მეტი ბურთი გატანა ფეხბურთელი ჰყავდა მინსკის „დინამოს“ (16), ყველაზე ნაკლები — დუსანგის „პაპირს“ — 7.

**ფეხბურთელთა** რიცხობრივი რაოდენობით ყველაზე ნაკლები

ყვითელი ბარათი დაიშახურეს თბილისის დინამოელებმა: ჩემპიონატის მსვლელობაში გააფრთხილეს სულ 5 თბილისელი ფეხბურთელი.

**თბილისის** „დინამოს“ მიერ ჩატარებული ჩემპიონატის 30 კალენდარულ მატჩს არბიტრად მოემსახურა 18 მსახი. დონეცკელმა ვ.

პაინიხმა, მოსკოველებმა ვ. ბუტენკომ და ა. სპირინმა 3-3-ჯერ იმსახურეს თბილისის „დინამოს“ მატჩები.

**ჩემპიონატის** 240 მატჩიდან დინამოელებმა (3-ზე მეტი ბურთის სხვაობით) დამთავრდა 26 შეხვედრა.

**ბანკლი** ჩემპიონატის მატჩებში ბურთები გაიტანა 16 გუნდის 167 ფეხბურთელმა.

**პაპიკო ბაკია.** სოფ. ხეთა.

## სიყალბე, თაღლითობა

**გასულ** შაბათს დამთავრდა რუსეთის ჩემპიონატის გათამაშება ფეხბურთში, რომლის ფინალში მონაწილეობდა ფედერაციის 6 საუკეთესო გუნდი. როგორც ირკვევა, ამ შეჯიბრებაში ხშირად ხდებოდა თაღლითობა, წინასწარი გარიგებით თამაშების დამთბობა და სხვა უკანონო ბანანი. საკდესის კორესპონდენტ ვ. ტილიაკოვი იუწყება, რომ ბრიანსკის „დინამოს“ და კუბინიშევის „კრილია სოვეტოვის“ შეხვედრაში კუბინიშეველ ფეხბურთელებს... თერთმეტჯერ მოუხდათ თამაშის დაწყება ცენტრიდან, თვითონ კი მეტოქის კარში არც ერთი ბურთი არ გაუტანიათ. ასეთი შედეგით დინამოელებს შესაძლებლობა მიეცათ მკვეთრად გაეუმჯობესებინათ გატანილი და მიღებული

ბურთების სხვაობა და მოეპოვებინათ რუსეთის ჩემპიონის წოდება.

ეს პირველი შემთხვევა არ არის რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატისთვის. რა კომენტარი უნდა გაუკეთდეს გორკის „ლოკომოტივის“ და ნოვოროსიისკის „ცემენტის“ შეხვედრას, რომელიც ლოკომოტიველებმა ანგარიშით 1:7 წააგეს? და ეს მაშინ, როცა „ლოკომოტივი“ სულ ახლახან I ლიგის საკავშირო გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა! დამარცხებისგან გარანტირებული არავინაა, მაგრამ ისეთი ჩნგარიშები, როგორიცაა 0:11, 1:7, და სხვა ამგვარი მასშტაბის შეჯიბრებებში, თავისთავად ფეხბურთის ორგანიზაციის ექვს ოფიცებს.

ეს კიდევ არაფერი. ნამდვილი საოცრება მოახდინა ომსკის „ორბიშნი“, რომელმაც შეჯიბრებაზე მიაღწია... უკანონო ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი.

ეს ყალბადანობა გამომჩუვრდა და „ირტიშ“ ყველა მატჩში დამარცხება ჩიფთვალა ანგარიშით 0:3.

გაკვირვებას იწვევს აღიღეს ეტონომიური ოლქის სპორტის მესვეურთა „სტუმართმოყვარეობაც“. აქაურმა სპორტკომიტეტმა, უამინდობის გამო, ცენტრალური სტადიონი ვერ დაუთმო რუსეთის ჩემპიონატის მონაწილეებს და თამაშები მიმდინარეობდა მეორეხარისხოვან მინდვრებზე, სადაც მაყურებელი თითებზე ჩამოსათვლელი იყო.

## მწვრთნელი რჩება

## თავის პოსტზე

**პოლანდის** ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ამ ქვეყნის ნაკრებს კვლავინდებულად სათავეში უდგას ტრინოლიტის და ხმები იმის თაობაზე, რომ იგი უანლოეს ხანებში თითქმის რჩუნს მიპქლსმა უნდა შე-

ცვალოს, სინამდვილეს არ შეეფერება.

პოლანდის სპორტულ პრესაში ბოლო ხანებში სულ უფრო ხშირად ჩანს რინულ მიპქლსის გვარი. იგი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მუშაობდა ქ. ლევერკუზენის „ბაიერის“ მწვრთნელად, მაგრამ გუნდი ძალზე სუსტად გამოდიოდა და ცნობილ მწვრთნელსაც წინადადება მისცეს დეტოვებინა პოსტი. ახლა რ. მიპქლსი კვლავ პოლანდის ფეხბურთის ფედერაციაში საქმიანობს.

— ტის ლობრიტსმა დამშვიდებით უნდა იმუშაოს ნაკრებთან და მოამზადოს იგი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირისთვის, ისეთი გამოცდილი სპეციალისტის რჩევადარეგება კი, როგორც რჩუნს მიპქლსი, არ აწყვეს არავის, მათ შორის ლობრიტსსაც. — განუცხადა ქუჩინოლიტის პოლანდის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა ფრედ რაკემ.



### ახლი „პროპიტი“



### საქართველოში

## „პროპიტი“

— თბილისი გამარჯვებული, სამი მეორე და ერთი მესამე საბრძოლო ადგილი — ასეთი შედეგით დაბრუნდნენ თავისუფალი ჰელანის საქარტელოს ჰაბუკთა ნაკრები გუნდის წარმომადგენლები ქ. ტიხვინიდან, სადაც ამ დღეებში სსრ კავშირის გმირის ზაიცვეის პრიზზე საკავშირო ტურნირი ჩატარდა.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს: თემურ ყულიშვილი (48 კგ. სოფ. გამარჯვება); დავით ბიჩინაშვილი (51), გოგია ზაბელაშვილი (65); ალექსანდრე კახიანიშვილი (76, სამივე — თბილისი). მეორე საბრძოლო ადგილზე გაიყვანა: გ. წიკაბერიძე (65), ლერი მუხამბერიძე (70). ელვარდ თოგოვი (83 — სამივე თბილისი). მესამე საბრძოლო ადგილი დაიკავა ასევე თბილისელი იოსებ ლეკიშვილი (85).

აღსანიშნავია, რომ ამ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (მწვრთნელები ჯემალ ბენდიანიშვილი, ტარიელ ჯარბაძე) მხოლოდ „შრომითი რეზერვების“ სპორტსმენებით იყო წარმოდგენილი.

## შედეგები

### „მედიონ სპორტსკი“

**ნიუ-იორკი.** „მედიონ სპორტსკი“ კომპლექსში დაიწყო ჩოგბურთული დღის საერთაშორისო ტურნირი „მასტერსი“, რომელშიც მონაწილეობს 1989 წლის „გრან-პრის“ სერის 77 ტურნირის შედეგების მიხედვით შეჩვენებული რვა უძლიერესი სპორტსმენი. ჩოგბურთელები დაყოფილი არიან ორ ჯგუფად, სადაც წრიული სისტემით გამოვლინდება ფინალური ოთხეულის 2-2 მონაწილე.

„მასტერსი“ გამარჯვებათა სარეკორდო რაოდენობა (ხუთი) მობოგებული აქვს ჩეხოსლოვაკელ ივან ლენდლს. ჯონ მაკინროუს სამჯერ იყო ამ ტურნირის ჩემპიონი. გაიმართა პირველი შედეგდები მსოფლიოს მესამე ჩოგანმა შედემა სტეფან ედბერგმა დამაჯერებლად მოუგო ამ რანგთა ტაბელის მიხედვით მეექვსე ნომერს, ამერიკელ ანდრე აგასის — 6:4, 6:2.

დღესათვის მსოფლიოს უძლიერესმა ჩოგბურთელმა ივან ლენდლმა აჯობა 17 წლის ამერიკელ მაიკლ ჩანსს (6:1, 6:3) და საფრანგეთის ლია ჩემპონატზე დამარცხების რეჟანში აიღო.

ტრადიციულად შეუპოვარ ხასიათს ატარებდა ბორის ბეკერისა (გფრ) და ბრედ პიტერტის (აშშ) ორთაბრძოლა. ამერიკელ ჩოგბურთელს არც თუ იშვიათად ჰყავს დამარცხებული მსოფლიოს მეორე ჩოგანი, მაგრამ ამჯერად ბეკერი ჩინებულ ფორმაშია და შეძლო მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევა — 2:6, 6:2, 6:4.

ტურნირში გამარჯვებული გამოვლინდება 3 დეკემბერს.

## ახე ფიარობს

### უფას-ს

### განერალური მდივანი

როგორც უფას-ს გენერალური მდივანი გერარდ აიგერი მიიხეგს, უფას-ს საკლუბო ტურნირების ფორმულა არ შეიცვლება სრულყოფილად ჩაითვალოს. ეს რომ ასეა, იმ გარემოებაშიც დაამტკიცა, რომ უკვე მეორე წრიდან შეჯიბრებას გამოვითქმენ ძლიერი გუნდები — მადრიდის „რეალი“, „ბარსელონი“ და ბუქარესტის „სტიაუა“.

რაში ხელდავს გ. აიგერსი გამოსავალს: — რა თქმა უნდა, ამ პოტენციური ფინალისტების გამოთქმა შეტად საწყენია. ხომ ვახდენთ პირველ წრის წინ უძლიერესი გუნდების განთესვას, იგივე უნდა გავაკეთოთ მეორე წრის წინაც.

1984 წლის ოლიმპიადის შემდგომ სეზონისწინა შესარჩევ ასპარეზობა „დრაფტ ჩოიზზე“ წარმოდგენილი იყვნენ ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის ოქროს გუნდისა და აშშ-ის უნივერსიტეტების კალათბურთელები. მაგრამ, იყო მათ შორის ერთი, განსაკუთრებული ტალანტის და ტიტულების მქონე კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი, ჩრდილოეთ კაროლინის გუნდის თავდამსხმელი, საუნივერსიტეტო კალათბურთის ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი, აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული მწვრთნელის დინ სმიტის აღზრდილი და ბოლოს იდეალური აღნაგობის მაიკლ ჯორდანი. სიმალე 198 სმ, წონა 88 კგ.

ჯორდანისათვის მოულოდნელად დაიწყო დრაფტ ჩოიზი, პროფესიული კლუბების წარმომადგენლები რიგობით უარს აცხადებენ ჯორდანის შექმნაზე. ჯერ „პიუსტონ რიქთისმა“ გააფორმა კონტრაქტი აკომოლუაქონთან, შემდეგ „პორტლენდ ტრეილ ბლაზერსმა“ გვერდით აუარა ჯორდანს და სემ ბოუსის შეიძინა. ვილაკამ თქვა: ავტო ნახეთ, სულ მალე „პიუსტონი“ და „პორტლენდი“ თუ არ ინაწილებს მაიკლ ჯორდანზე უარი რომ თქვასო. ამ სიტყვებს ეტყობა ყური მოჰკრა „ჩიკაგო ბულზის“ წარმომადგენელმა და იგი წინასწარმოცხადდა ალიქვა. ყოველ შემთხვევაში, მან უყოყამნოდ დალო ჯორდანთან 5 წლით 4 მილიონიანი კონტრაქტი.

ჯორდანის „ჩიკაგო ბულზის“ რიგებში გაბრუნების შემდეგ თითქმის ორჯერ გაიზარდა მაყურებელთა რაოდენობა. თუ წინა სეზონში თამაშზე საშუალოდ 6,365 მაყურებელი ესწრებოდა, ახლა ეს რიცხვი 12,763-მდე გაიზარდა. გუნდის ბილეთების მენეჯერის (არის ასეთი თანამდებობა. კლუბში) ჯო ი. ნილის თქმით კი, მაიკლ ჯორდანი რომ არა, ისინი 500 წლიურ აბონემენტს ვერ გაასაღებდნენ. 30 ათასით გაიზარდა ავტოთე „ჩიკაგო ბულზის“ თამაშების ტელემყურებელთა რაოდენობაც. ასე რომ, მაიკლ ჯორდანი კლუბის ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გამოაქვთა, თვითონაც გვირან გასაძრელოს იღებს, გარდა 4 მილიონიანი კონტრაქტისა, 5 წლით მოაწერა ხელი შეთანხმებას სპორტული მწვრთნელის ფირმა „ნაიკთან“, რის მიხედვითაც, ამ ფირმის სპორტული ფენსაცემლის რეკლამაში მიიღებს 2,5 მილიონ დოლარს, სამი წლის განმავლობაში 200 000 ათას დოლარს მიიღებს ავტოთე ფირმა „უილსონის“ ბურთებზე ავტოგრაფისათვის. სულ მოკლე ხანში „ნაიკმა“ გამოუშვა 60 დოლარად ღირებული სპეციალური სპორტული ფენსაცემელი „ეირ ჯორდანი“.

თუ მაიკლ ჯორდანის შეეენთ „ჩიკაგო ბულზს“ გარკვეული წილი სადარდებლისა მოეხსნა, სამაგიეროდ ნბა-ს დანარჩენი გუნდების მწვრთნელებს მოემატათ საფიქრალი. მათ წინაშე საკმაოდ ცხადად დნაჯი კოორდინაცია? თითქმის ჰორიზონტალურად იწინააღმდეგება, სადაც მას პერსონალურად მეურვეობდა ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო დამცველი დენის ჯონსონი.

ვინ არის მაიკლ ჯორდანი და რა შეუძლია მას? ეს იყო მთავარი საკითხი კონსილიუმისა, რომელშიც მინაწილეობდნენ აშშ-ის პროფესიული და ეკროპის კალათბურთის ცნობილი სპეციალისტები. ჩავეკითხოთ კონსილიუმის სტენოგრაფია.

„ჯორდანი არადაძინავია. დიას, ის რეზინის კაცია“, პირდაპირ განაცხადა ესპანეთის ოლიმპიური ნაკრები გუნდის მწვრთნელმა ანტონო დიას-მიგელმა. „სრულიად ვეთანხმები გამოთქმულ აზრს“, ჩავერთო კამათში „ჩიკაგო ბულზის“ მწვრთნელის ასისტენტი ფრედ კარტერი. „ამა წარმოდგინეთ ჯორდანთან ერთობილად სტეპით და იგი პაერში გმორიდებთ. იგი ხომ ყანებით რამდენიმე წამით მეტ ხანს ძლიებს პაერს, ვიდრე სხვა რომელიმე კალათბურთელი“.

„მასთან თამაში ცირკის არენაზე ყოფიანს ჰყავს. რამდენჯერ მივარჯიშია მასთან ერთად და მიანც ვერ გავეყვ როგორ გამიბრბის“, თქვა დალონებულმა უფრო თისდელიმა.

„არა, არა, აქ ნამდვილად ომერითის ხელი ურევია“, დაწმუნებთ წამოიძახა „ინდიანა პეიზერისის“ მთამაშე ჯიმ თომასმა, „თუ გინახავთ ოსკარ რობერტსონის შემდეგ ასეთი მონაცემების კალათბურთელი? იგი ხომ, წარმოუდგენლად სწრაფია და სწორედ სისწრაფით გაბნის მოპირდაპირე მცველებს. მე პირადად, ვერ მივმხმარებარ ჯორდანს როდის ღვამს პირველ ნახევარს, თუმცა ამის განსაკუთრად მოედანზე ნამდვილად არ მცლია“. სისწრაფე — ეს ერთ-ერთი კომპონენტი გასლავთ მისი მონაცემებისა, მაგრამ არის სხვა. მაგალითად მდელი ნახტომი. საუბარში ერთვება მაიკლ ჯორდანის თანაგუნდელი როდ ჰიგინსი: „ყვე-

# „აპოკალიფსი“

ლამ კარგად იცით, რომ ლერი ნენსი ძალზე მილოა სტეპა ცალი ფეხით, ისიც მოგეხსენებათ, რომ ორლანდო ვულრიჯი ამას ტყუბი ფეხით უკეთესად აკეთებს, ხოლო მათელ ჯორდანს როგორც ცალი, ისე ორივე ფეხით შეუძლია მალალი სტომები შესარულოს. ეს მისი, ასე ვთქვათ, „კოზირი“ გახლავთ“.

„გვეყო მისი დახასიათება“, თქვა კონსილიუმის თავმჯდომარემ, „მარტო ამისათვის როდი შევკრიბლვართ, დროა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ ვიმტყუროთ მის წინააღმდეგ. რა დასკვნები უნდა გამოიტანონ მწვრთნელებმა და რა ქან დამცველებმა“.

—სწორედ ამის შესახებ მიწოდდა მეთქვა, — დაიწყო „სან ანტონიო სპურსის“ მთამაშემ, 1986 წლის საუკეთესო დამცველმა ელვინ რობერტსონმა, — ჩვენმა გუნდმა მაგალითად, ერთ თამაშში ძალზე მკიდრთ მეურვეობა გაუწვია მაიკლ ჯორდანს და საკმაოდ წარმატებითაც, მეოთხე პერიოდისთვის მას მხოლოდ 16 ქულა ჰქონდა მოპოვებული. მაგრამ სამაგიეროდ ამის გამო საშუალება მიეცათ ჯონ პაქსონსა და ჩარლზ უილის შესაბამისად 20 და 25 ქულის მობოვებისა, რის გამოც თამაში წავაგეთ. შემდეგ შეხვედრაში კი პირიქით მოვიქცით. მთელი ყურადღება ჯორდანზე კი არა, გუნდის დანარჩენ წევრებზე გავამხვილეთ. მართალია, მან შესანიშნავი თამაშია და თავის გუნდს 43 ქულა მოუტანა, მიუხედავად ამისა, შეხვედრა ჩვენ მოგვით. მაგრამ ასეთი ტაქტიკა ყოველთვის მიზანს როდი აღწევს“. — თქვა კონსილიუმის თავმჯდომარემ და დაუმატა: „კი მაგრამ, არ შეიძლება მას ბურთი არ მიადებინოთ? ყოველ შემთხვევაში ეცადეთ მაინც ბურთს რომ ვერ მიიღებს, ე. ი. ვერც ჩაავლებს. ასე არ არის? — სათქმელად ავიღოთ, მაგრამ ვინ შესარულებს ამას, — ჩაღელუნა ვილაკამ? — შეიძლება ვთქვა? ხელი ასწია დინ სმიტმა — მაიკლ ჯორდანი წლით-წლით უმატებს ბურთის სროლის სიზუსტეს. თუ მას ფარამდე არ მიუშვებთ, შესაბამისად შეიცირდება მისი ქულათა რაოდენობაც, მაგრამ, სამაგიეროდ, გაიზრდება მარცხების რიცხვი. თუ, მან თამაშის დასაწყისშივე შეიღებდ რამდენჯერმე ზუსტად ტყორცა, ჩათვალეთ, რომ იმ დღეს 50 ქულას მოაგროვებს, ეს ჩემი პირადი აზრია, თუმცა ობიექტური.

— მიუხედავად ასეთი გამოთვალის მდგომარეობისა, — თქვა კონსილიუმის თავმჯდომარემ, — ნბა-ს ლიგაში არაა დამცველები, რომლებიც ასე თუ ისე წარმატებით თამაშობენ მის წინააღმდეგ. სწორედ ისინი ჰყავს შეყვანილი

ლამ კარგად იცით, რომ ლერი ნენსი ძალზე მილოა სტეპა ცალი ფეხით, ისიც მოგეხსენებათ, რომ ორლანდო ვულრიჯი ამას ტყუბი ფეხით უკეთესად აკეთებს, ხოლო მათელ ჯორდანს როგორც ცალი, ისე ორივე ფეხით შეუძლია მალალი სტომები შესარულოს. ეს მისი, ასე ვთქვათ, „კოზირი“ გახლავთ“.

„გვეყო მისი დახასიათება“, თქვა კონსილიუმის თავმჯდომარემ, „მარტო ამისათვის როდი შევკრიბლვართ, დროა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ ვიმტყუროთ მის წინააღმდეგ. რა დასკვნები უნდა გამოიტანონ მწვრთნელებმა და რა ქან დამცველებმა“.

—სწორედ ამის შესახებ მიწოდდა მეთქვა, — დაიწყო „სან ანტონიო სპურსის“ მთამაშემ, 1986 წლის საუკეთესო დამცველმა ელვინ რობერტსონმა, — ჩვენმა გუნდმა მაგალითად, ერთ თამაშში ძალზე მკიდრთ მეურვეობა გაუწვია მაიკლ ჯორდანს და საკმაოდ წარმატებითაც, მეოთხე პერიოდისთვის მას მხოლოდ 16 ქულა ჰქონდა მოპოვებული. მაგრამ სამაგიეროდ ამის გამო საშუალება მიეცათ ჯონ პაქსონსა და ჩარლზ უილის შესაბამისად 20 და 25 ქულის მობოვებისა, რის გამოც თამაში წავაგეთ. შემდეგ შეხვედრაში კი პირიქით მოვიქცით. მთელი ყურადღება ჯორდანზე კი არა, გუნდის დანარჩენ წევრებზე გავამხვილეთ. მართალია, მან შესანიშნავი თამაშია და თავის გუნდს 43 ქულა მოუტანა, მიუხედავად ამისა, შეხვედრა ჩვენ მოგვით. მაგრამ ასეთი ტაქტიკა ყოველთვის მიზანს როდი აღწევს“. — თქვა კონსილიუმის თავმჯდომარემ და დაუმატა: „კი მაგრამ, არ შეიძლება მას ბურთი არ მიადებინოთ? ყოველ შემთხვევაში ეცადეთ მაინც ბურთს რომ ვერ მიიღებს, ე. ი. ვერც ჩაავლებს. ასე არ არის? — სათქმელად ავიღოთ, მაგრამ ვინ შესარულებს ამას, — ჩაღელუნა ვილაკამ? — შეიძლება ვთქვა? ხელი ასწია დინ სმიტმა — მაიკლ ჯორდანი წლით-წლით უმატებს ბურთის სროლის სიზუსტეს. თუ მას ფარამდე არ მიუშვებთ, შესაბამისად შეიცირდება მისი ქულათა რაოდენობაც, მაგრამ, სამაგიეროდ, გაიზრდება მარცხების რიცხვი. თუ, მან თამაშის დასაწყისშივე შეიღებდ რამდენჯერმე ზუსტად ტყორცა, ჩათვალეთ, რომ იმ დღეს 50 ქულას მოაგროვებს, ეს ჩემი პირადი აზრია, თუმცა ობიექტური.

— მიუხედავად ასეთი გამოთვალის მდგომარეობისა, — თქვა კონსილიუმის თავმჯდომარემ, — ნბა-ს ლიგაში არაა დამცველები, რომლებიც ასე თუ ისე წარმატებით თამაშობენ მის წინააღმდეგ. სწორედ ისინი ჰყავს შეყვანილი

მაიკლ ჯორდანს თაის შავ სიაში მცველი არაა: „თუნჩერ ნაკვეთის“ მცველი ტი რი დანი, ჟოს-ანჯელეს ლიეკერის „მთამაშე მიკელ კუპერი, „მოსტონ სელტიკის“ დენის ჯონსონი და „დეტროიტ პისტონის მცველი ჯო ლიუენარსი. მოდით, ჩვენი შეკრების მიზეზს, თვით მაიკლ ჯორდანს მოვუხმონთ.

მაიკლ ჯორდანი: უნდა გითხრათ, რომ მე პირადად ყველანაირად ვცდილობ „პრიმადონად“ არ ვიქცე გუნდში. დიას, ამას მთელი შეგებით ვაღიარებ. იმასაც ვიტყვი, რომ როცა პაერში ვარ ყველაფერი ინსტიტუტურად გამომდის, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში, რასაც კი ვაკეთებ მოედანზე თამაშის გააზრებისა და მასზე ფიქრის შედეგია. მართალია, განსაკუთრებული მეურვეობა მიწვევენ თამაშის დროს, მაგრამ იგივე დღეშია ნებისმიერი ძლიერი თავდასხმელი. რაც შეეხება ჩემს წინააღმდეგ მთამაშე კალათბურთელებს, გეტყვი, რომ ყველაზე უკეთ ჩემს სუსტი მხარეები იცის ჩემმა ძველმა მეგობარმა სტივ ჰეილმა. მის წინააღმდეგ თითქმის ყოველ დღე ვვარჯიშობდი, ასე რომ მხოლოდ მან იცის და იგი გინობს ყოველ ჩემს მოძრაობას. მაგრამ ჩემმა საბუნდოვროდ ახლა ის ინგლისის პროფესიული კლუბში თამაშობს“.

კონსილიუმის თავმჯდომარემ მაიკლ ჯორდანს მიმართა: — თქვენ გარდა ხვდებით თუ რა თვსატეხი და სადარდებელი გაუჩინეთ ჩვენს პროფესიულ ლიგას, იმასაც სიხარულით აღიქვამთ, რომ 1988 წლის საუკეთესო კალათბურთელად დავასახელეს. საინტერესოა, როდემდე ვაგრძელებდა თქვენი ასეთი კარგი თამაში? ნუთუ კიდევ გაქვთ რამე საოცრებო? — მაიკლ ჯორდანი: — მართალი ბრძანდებით, შესანიშნავად ვთამაშობ კალათბურთს, ბევრსაც მივალწვი, მაგრამ, მანამ არ მოვისვენებ სანამ ნბა-ს ე. ი. მსოფლიოს ჩემპიონი არ ვაგებები.

— კეთილი და პატიოსანი, გისურვებთ წარმატებებს ამ ძნელ გზაზე, — თქვა თავმჯდომარემ, შემდეგ საათს დახედა და კონსილიუმში დახურულად გამოაცხადა.

P.S ასეთი კონსილიუმი მართალი არ შემდგარა, მაგრამ შეძლებოდა შემდგარიყო, რადგან კალათბურთელ მაიკლ ჯორდანის ფენომენი ჯერაც ამოუცნობია.

დავით ივაზაშვილი.

## დაბიუტი იტალიის ჩინგვა

**ბრწყინვალე** გამარჯვებით აღინიშნა პროფესიონალურ რინგზე საბჭოთა კრივის დებიუტი. ეს მოხდა იტალიის ქალაქ ასიზში, სადაც მძიმეწონისანი სპორტსმენი ანდრეი ორეშკინი შეხვდა უგანდელ აჭოს. საგულისხმოა, რომ დაეგმილი 6-რაუნდიანი ბრძოლა, რომელიც 18 წუთს უნდა გაგრძელებულიყო, მეოთხე წუთზე შეწყდა საბჭოთა მოკრივის აშკარა უპირატესობით. ა. ორეშკინმა კონტრილეთით შეტევაზე გადმოსულ მეტოქეს მარჯვენა პირდაპირი და მარცხენა ირიბი დარტყმების სერით უშასუხა, ზრის შედეგადიც უგანდელი იტაქე აღ-

## დაბიუტი იტალიის ჩინგვა

მოხდა. მსაჯმა რინგზე ტექნიკური ნაკლებობით გამარჯვება აღნიშნა. სხვათა შორის, მეტოქეებს თანაბარი „პარამეტრები“ ჰქონდათ: სიმალე — 185 სმ, წონა — 103 კგ.

საბჭოთა პროფესიონალებს ორი დიდი ტურნირი ელით. ერთი 10 დეკემბერს შედგება ლენინგრადში და ოთხ ბრძოლაში წარმოდგენილი იქნება მოკრივეთა საკავშირო ასოციაცია, ორში — საზღვარგარეთელი პროფესიონალები. მეორე — 12 დეკემბერს — კვლავ იტალიაში, სადაც ექვსი საბჭოთა მოკრივე გამოვა.

## დაბიუტი იტალიის ჩინგვა

მოხდა. მსაჯმა რინგზე ტექნიკური ნაკლებობით გამარჯვება აღნიშნა. სხვათა შორის, მეტოქეებს თანაბარი „პარამეტრები“ ჰქონდათ: სიმალე — 185 სმ, წონა — 103 კგ.


საბჭოთა პროფესიონალებს ორი დიდი ტურნირი ელით. ერთი 10 დეკემბერს შედგება ლენინგრადში და ოთხ ბრძოლაში წარმოდგენილი იქნება მოკრივეთა საკავშირო ასოციაცია, ორში — საზღვარგარეთელი პროფესიონალები. მეორე — 12 დეკემბერს — კვლავ იტალიაში, სადაც ექვსი საბჭოთა მოკრივე გამოვა.

## დაბიუტი იტალიის ჩინგვა

ფიფამ გადამწყვეტილება მიიღო იმის თაობაზე, რომ ისრაელი ამიერიდან აღარ მიეკუთვნება აზიის ფეხბურთის ფედერაციას. ამიტომაც 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირის შესარჩევი შეჯიბრების დროს ისრაელის ნაკრებს ერთ-ერთ ევროპულ ჯგუფში გაანაწილებენ.

## რედაქტორი

თ. გარეჩილიძე.



1990 წლის 1-დან 10 იანვრამდე სპორტის სახალხო ტარდება შეიქმნის დღეები საქალკო სახალხო წლი ნაწიხ ხესხა. დასაწყისი 10, 13 და 16 საათზე. მიიღება განცხადება კოლექტორი დასწრებისათვის.

**ჩვენი მისამართი:**  
**წერილებსთვის — 380098,**  
**თბილისი, ლენინის ქ. 14,**  
**დებეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.**

**კადავციის ბალეტონები:**  
**წერილებს განყოფილება — 98-97-55,**  
**სამაგნი — 98-97-52,**  
**ინფორმაციის განყოფილება — 98-97-58,**  
**„მერანი“ — 98-97-26, „მარტვი“ — 98-97-27.**

**ჩვენი მისამართი:**  
**წერილებსთვის — 380098,**  
**თბილისი, ლენინის ქ. 14, აბელება ოფსეტური წესით საკავშირო კორპუსში: სომარაული, 29.**

**ჩვენი მისამართი:**  
**წერილებსთვის — 380098,**  
**თბილისი, ლენინის ქ. 14, აბელება ოფსეტური წესით საკავშირო კორპუსში: სომარაული, 29.**

**ჩვენი მისამართი:**  
**წერილებსთვის — 380098,**  
**თბილისი, ლენინის ქ. 14, აბელება ოფსეტური წესით საკავშირო კორპუსში: სომარაული, 29.**